30310015001080587

ბს-926-922(2კ-17) 20 დეკემბერი, 2019 წ.
ლ---------- ბს-926-922(2კ-17) ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

ნუგზარ სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნინო ქადაგიძე, ქეთევან ცინცაძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

კასატორები – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლე), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

მოწინააღმდეგე მხარე - მ. ლ----------

დავის საგანი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2017წ. გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

მ. ლ----------მ 02.09.2015წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 05.05.2015წ. №------ დადგენილებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 03.08.2015წ. №--- ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 05.05.2015წ. №------ დადგენილებით დაჯარიმდა 10 000 ლარით და დაევალა ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო მეურნეობის №------- ნაკვეთის მიმდებარედ მოწყობილი მავთულბადის ღობის დემონტაჟი. მოსარჩელის მითითებით, ნაკვეთი, რომლის მიმდებარედ მოწყობილია სადავო მავთულბადე, მფლობელობაში აქვს 2007-2008 წლებიდან. 2008 წლიდან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ნაკვეთი გახდა მისი საკუთრება. ამ პერიოდში სადავო ტერიტორიაზე უკვე არსებობდა მავთულბადე და იქ განთავსებული იყო მსუბუქი კონსტრუქციის საცხოვრებელი. მოსარჩელე თვლის, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებამდე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია ღობის მოწყობის დრო, არ დაადგინა ღობის მომწყობი პირი. მ. ლ---------- აღნიშნავს, რომ მან მხოლოდ სადავო ტერიტორიის გამწვანება უზრუნველყო, რაც არ არის სამართალდარღვევა. ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაადასტურა ღობის მოწყობა მოსარჩელის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.2016წ. გადაწყვეტილებით მ. ლაგვილავს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 19.03.2015წ. შედგა N------ მითითება, ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში, N------- ნაკვეთის მიმდებარედ, სახელმწიფოს ტერიტორიაზე მ. ლ----------ს მიერ უნებართვოდ მავთულბადის ღობის მოწყობის ფაქტზე. მ. ლ----------ს მითითებით განესაზღვრა ვადა სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად ან მავთულბადის ღობის დემონტაჟისათვის. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 14.04.2015წ. შედგენილი N------ შემოწმების აქტით დადგინდა მითითების პირობების შეუსრულებლობა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 05.05.2015წ. N------ დადგენილებით პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მ. ლ---------- დაჯარიმდა 10 000 ლარით მავთულბადის ღობის უნებართვოდ მოწყობისათვის და დაევალა აღნიშნული ღობის დემონტაჟი, რაც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრდა მ. ლ----------ს მიერ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 03.08.2015წ. N---

ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ მ. ლ----------მ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამართულ ზეპირ მოსმენაზე დაადასტურა ნაკვეთის ფლობა, მასზე მწვანე ნარგავების განთავსება და ღობის მოწყობა, დაზიანების შემთხვევაში მისი შეკეთება, ასევე უარყო ღობის დემონტაჟის შესაძლებლობა მწვანე ნარგავების დაზიანების რისკის გამო, ამდენად, მ. ლ---------- მიჩნეულ იქნა ღობის არსებობაზე დაინტერესებულ პირად.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. N57 დადგენილების 33-ე, 65-ე, 66-ე მუხლებსა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე, 44-ე მუხლებზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენა, რადგან ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში, №------- ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე მოეწყო მავთულბადის ღობე შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. ამდენად, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულო ოგანო მითითების გაცემისა და შემოწმების აქტის შედგენის საფუძველზე უფლებამოსილი იყო სადავო აქტით დაედგინა უნებართვო მშენებლობის დემონტაჟისა და დამრღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საჭიროება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სზაკ-ის 60^1.1, 178-ე, 185-ე, 201-ე მუხლებისა და სასკ-ის 32.1 მუხლის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადავო აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.2016წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ.ლ----------მ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2017წ. გადაწყვეტილებით მ.ლ----------ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.2016წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ.ლ----------ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 05.05.2015წ. №------ დადგენილება და ზედამხედველობის საქალქო სამსახურს

დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 03.08.2015წ. №--- განკარგულება ბათილად იქნა ცნობილი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა სასკ-ის 32.4 მუხლისა და სზაკ-ის 53.5, 96.1 მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უსაფუძვლოდ მიიჩნია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ობიექტი მავთულხლართია და მიწა დავის განხილვის მომენტისათვის საკუთრების უფლებით აღრიცხული არ იყო.

პალატამ აღნიშნა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოცევის კოდექსის მიზანია სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. იმისათვის, რომ სამშენებლო სამართალდარღვევა დაეფუძნოს კოდექსის 44.1 მუხლს აუცილებელია უნებართვო მშენებლობა განხორციელდეს განსაკუთრებული, სპეციალური სტატუსის მქონე ტერიტორიის ფარლებში, როგორებიცაა: სპეციალური რეჟიმის ზონა, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმი; ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ტერიტორიები; კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები; საკურორტო-სარეკრეაციო ზონები ან ქ. თბილისის ტერიტორია. კოდექსის 44.1 მუხლით ქმედების კვალიფიცირებისთვის საკმარისი არ არის მავთულღობის სათანადო დოკუმენტაციის გარეშე მოწყობის დადასტურება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დადგენას საჭიროებს აგერთვე გაბარიტების ცვლილება, ღობის მ. ლ---------ს მიერ მოწყობა. ამასთანავე, ადმინისტაციულ ორგანოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის მიზნით შეეძლო განმარტებები მიეღო მეზობელი ნაკვეთის მფლობელებისგან, რაც არ განხორციელდა.

პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან სახეზეა სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალქო სამსახურის დადგენილების ბათილად ცნობის პირობები, მისი გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებაც კანონშეუსაბამოა, რაც მის ბათილად ცნობას განაპირობებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2017წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ.

კასატორი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. კასატორის მოსაზრებით, სწორედ მ. ლ---------- იყო სამართალდარღვევის აღმოფხვრის წინააღმდეგი, მან მაკონტროლებელი ორგანოს მითითების მიუხედავად არ მოახდინა უნებართვოდ მოწყობილი ღობის დემონტაჟი. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელე ითხოვდა ღობის მომწყობის სამუშაო პერსონალის მოწმის სახით დაკითხვას და იღებდა მათი სასამართლო სხდომაზე მოყვანის ვალდებულებას. აღნიშნული გარემოება დამატებით ადასტურებს სადავო ღობის მ. ლ----------ს დაკვეთით განთავსებას. სააპელაციო პალატის მითითება მეზობელი ნაკვეთის მფლობელთა გამოკითხვის სავალდებულოობაზე არ არის დასაბუთებული, რადგან ჩვენებით ვერ დადასტურდებოდა სადავო დადგენილების უკანონობა. გასათვალისწინებელია, რომ თავად მოსარჩელე ადასტურებს 2007-2008 წლებიდან ნაკვეთის ფლობასა და შემოღობვის მიზანშეწონილობას, შესაბამისად სწორედ მას უნდა დავალებოდა ღობის დემონტაჟი. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც ღობის სხვა პირის მიერ მოწყობას დაადასტურებდა.

კასატორმა - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნა, რომ სახეზე იყო სადავო დადგენილების გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი - სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე უნებართვო მშენებლობის განხორციელება. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 36.1, 36.3, 65.1, 74.1 მუხლებზე მითითებით კასატორმა აღნიშნა, რომ ღობის მოწყობა წარმოადგენს პირველი კლასის მშენებლობას და საჭიროებს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოსთან შეთანხმებას. მ. ლ----------მ ღობე მოაწყო სათანადო სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა პირველ რიგში ეკისრება ქმედების განმახორციელებელ პირს, ხოლო მისი დაუდგენლობის შემთხვევაში სამშენებლო მიწის ნაკვეთის ან შენობა-ნაგებობის მესაკუთრეს ან მოსარგებლეს. განსახილველ შემთხვევაში დადგინდა ღობის მ. ლ----------ს მიერ მოწყობა, მანვე უარი განაცხადა ღობის დემონტაჟზე მწვანე ნარგავების დაზიანების რისკის გამო. რაიმე მტკიცებულება, რომელიც ღობის სხვა პირის მიერ მოწყობას დაადასტურებს

წარდგენილი არ ყოფილა.

დავის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.09.2018წ. N28-94 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოს 12.06.2018წ. N20-67 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულება“ (მე-2 მუხ.) და დამტკიცდა ახლადშექმნილი მუნიციპალური ინსპექციის დებულება (1-ლი მუხ.). აღნიშნული დებულების მიხედვით, სწორედ მუნიციპალური ინსპექციის კომპეტენციად სახელდება სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, სათანადო სანქციების დაკისრება (2.2 მუხ. „ა“ ქვ.პ.), საზედამხედველო ობიექტში სამშენებლო და სხვა სახის ნორმების დაცვასა და შესრულებაზე კონტროლი, დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებებისა და ვადების განსაზღვრის, მითითების გაცემის, კანონდარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო დადგენილების მიღების, პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილება (3.1 მუხ. „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „თ“ ქვ.პ.).

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში 500 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ს.კ. 0---------- აღრიცხულია მ. ლ---------ს საკუთრებაში 2008 წლიდან. 19.03.2015წ. მ. ლ---------ს მიმართ შედგა მითითება ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში, მის საკუთრებაში რიცხული N------- ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე I კლასის ნაგებობის მავთულბადის ღობის უნებართვოდ მოწყობის ფაქტზე. მ. ლ---------ს მიეცა 10 დღის ვადა სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად ან ღობის მოსაშლელად. დადგენილ ვადაში მითითება არ შესრულდა, რის გამო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 05.05.2015წ. დადგენილებით მ. ლ---------- დაჯარიმდა 10000 ლარით

და დაევალა ღობის დემონტაჟი. მხარეთა ახსნა-განმარტებებით ასევე დგინდება, რომ ღობით შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთი მ. ლ----------ს მფლობელობაშია, მის მიერ მოხდა ნაკვეთში მწვანე ნარგავების განთავსება და იგი დაზიანების შემთხვევაში ახდენს ღობის შეკეთებას, თუმცა მოსარჩელე თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელ სუბიექტს, რადგან ღობე მის მიერ არ არის მოწყობილი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სადავო საკითხის გადაუწყვეტლად სსიპ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის და ზედამხედველობის ორგანოსათვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი, რადგან არ იყო გამოკვლეული ქმედების პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლით კვალიფიცირების წინაპირობების არსებობა, ამასთანავე, დადგენას საჭიროებდა ღობის მომწყობი სუბიექტი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობის და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად საზედამხედველო ორგანოსათვის ხელახალი განხილვისა და ახალი გადაწყვეტილების მისაღებად დაბრუნების დასაბუთებას. სასამართლო დავის გადაუწყვეტლად აქტს ბათილად ცნობს იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ გადაწყვეტილების მიღება საჭიროებდა გარკვეული გარემოებების გამოკვლევას, რომელიც არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, აღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევა სასამართლოს მიერ შეუძლებელია და ამ გარემოებების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების დანაწესების მიუხედავად სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების დადგენის შესაძლებლობის გამომრიცხავი გარემოებები. სასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წარმოების ფარგლებში გართულებულია ან ვერ ხერხდება სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის სადავო ადმინისტრაციული აქტების კანონიერებაზე მსჯელობას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებები იძლეოდა სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტის

შესაძლებლობას. რაც შეეხება დადგენილი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საჭიროებას (ქმედების კოდექსის 44.1 მუხლის დაკვალიფიცირების წინაპირობების დადგენა), აღნიშნული ასევე არ ქმნის სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების საფუძვლებს, რადგან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შედეგების შეფასება თავად სასამართლომ უნდა მოახდინოს.

სადავო აქტების მართლზომიერების შესაფასებლად დადგენას საჭიროებს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის გამოყენების წინაპირობების არსებობა, კერძოდ, უნებართვო მშენებლობის ფაქტი, მშენებლობის განხორციელების ადგილი, სამშენებლო მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსადმი კუთვნილება, გაბარიტების ცვლილება და სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი სუბიექტი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის მასალების სათანადოდ შეფასებისა და არსებული ნორმატიული მოწესრიგების სწორად განმარტების შემთხვევაში, სააპელაციო პალატა არ იყო მოკლებული დავის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი უნებართვო მშენებლობასა და რეკონსტრუქციას სამშენებლო სამართალდარღვევად მიიჩნევს, თუმცა ახდენს სანქციის სხვადასხვა ოდენობით დაკისრებას მშენებლობის განხორციელების და მშენებლობის შედეგად არსებული გაბარიტის ცვლილების მიხედვით. კოდექსის 43-ე მუხლი ეხება უნებართვო მშენებლობას თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტის დასახლებაში, გარდა ამავე კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა. კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, დაჯარიმებას ექვემდებარება უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე. მითითებულ ტერიტორიაზე მშნებელობის ან/და რეკონსტრუქციის განხორციელებისას დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა დამოკიდებულია უძრავი ქონების მესაკუთრესა და მშენებლობის შედეგად ნაგებობის გაბარიტების ცვლილებაზე. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითება, რომ სადავო აქტის გამოცემისას ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არ გამოუკვლევია ტერიტორიის სპეციალური რეჟიმის ზონაში ყოფნა, ტყის ფონდის და ,,წყლის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ, საკურორტო-სარეკრეაციო ზონაში ყოფნა - არ ადასტურებს სადავო აქტის გაუქმებას და ორგანოსათვის ხელახალი

განხილვისათვის დაბრუნების საფუძვლიანობას, რადგან დადგენილია, რომ სადავო მშენებლობა წარმოებულია ქ. თბილისში, შესაბამისად, დავის გადაწყვეტისთვის უნებართვო მშენებლობის სპეციალურ ზონაში არსებობის დადგენა არ არის სამართლებრივი შედეგის მომტანი, ნორმა სხვა წინაპირობების დადგენის გარეშე ითვალისწინებს სუბიექტის დაჯარიმებას იმ შემთხვევაში, თუ უნებართვო მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია წარმოებულია ქ.თბილისის ტერიტორიაზე. ამასთან, გაბარიტის ცვლილებას მნიშვნელობა ენიჭება არა ქმედების კოდექსის 44-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად კვალიფიცირებისათვის, არამედ სანქციის ოდენობის განსაზღვრისთვის. კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, უკეთუ მშენებლობა/რეკონსტრუქცია იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, პირს ეკისრება მეტი ოდენობის ჯარიმა (1-ლი ნაწ.), ვიდრე გაბარიტების შეუცვლელად უნებართვო სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას (მე-2 ნაწ.). განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ სამართალდარღვევად მიჩნეულ იქნა არა რაიმე ნაგებობის რეკონსტრუქცია, მინაშენი და სხვ., არამედ ღობის მოწყობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახალი მშენებლობის შედეგად იქმნება ახალი ობიექტი ან ხდება არსებულის სრულიად ჩანაცვლება (,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 24.03.2009წ. =57 დადენილების 3.5 მუხლი), შესაბამისად, სააპელაციო პალატის მითითება გაბარიტების ცვლილების დადგენის საჭიროებაზე, აზრს არის მოკლებული. მიწის ნაკვეთზე ღობის მოწყობა იმთავითვე ადასტურებს ახალი მშენებლობის და ამდენად, ახალი გაბარიტის შექმნას, რაც გამორიცხავს ქმედების კვალიფიცირების შესაძლებლობას კოდექსის 44.2 მუხლით, რომელიც გაბარიტების შეუცვლელად უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოებისას ითვალისწინებს სანქციას. ამდენად, დასტურდება უნებართვო მშენებლობის წარმოება ქ. თბილისის ტერიტორიაზე, რამაც ახალი გაბარიტის შექმნა გამოიწვია. ამასთანავე, მხარეებს შორის სადავო არ გამხდარა მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსადმი კუთვნილება. მართალია ნაკვეთი მარეგისტრირებელ ორგანოში აღრიცხული არ არის, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მიწის ნაკვეთები, რომლებსაც კერძო მესაკუთრეები არ ჰყავთ, მიიჩნევა სახელმწიფოს საკუთრებად.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მ.ლ--------- არ არის სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი სუბიექტი და აღნიშნავს, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 14.2 მუხლის მიხედვით, სამშენებლო ზედამხედველობის სუბიექტი პირველ რიგში არის პირი, რომლის ქმედებებმაც

გამოიწვია დარღვევები სამშენებლო საქმიანობაში („ბ“ ქვ.პ.), ხოლო შემდგომში, უკეთუ დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი,- სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მოსარგებლე („გ“ ქვ.პ.). მ. ლ---------- თავის ახსნა განმარტებებში, ადმინისტრაციულ საჩივარსა და სარჩელში ადასტურებს, რომ ნაკვეთზე, რომელიც ღობის შიგნით არის მოთავსებული, მის მიერ მოწყობილია გამწვანება, ნაკვეთი მის მფლობელობაშია 2007-2008 წლებიდან და პირუტყვის მიერ ღობის დაზიანების შემთხვევაში ახდენს მის შეკეთებას. ამდენად დგინდება, რომ ერთადერთი პირი, რომელსაც ნაკვეთის შემოღობვის ინტერესი აქვს, არის მოსარჩელე, რადგან მისივე განმარტებით ღობე უზრუნველყოფს მწვანე ნარგავების დაცვას. მოსაზრება, რომ ნაკვეთი, რომელიც მოსარჩელის მფლობელობასა და სარგებლობაშია სხვა პირის მიერ შემოისაზღვრა, არ არის დასაბუთებული. ამასთანავე, მოსარჩელე ვერ ასახელებს სამართალდარღვევის ჩამდენ სხვა კონკრეტულ სუბიექტს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ადმინისტრაციული წარმოებისას შედგენილ, საქმეში დაცულ 30.04.2015წ. ოქმზე, რომლის თანახმად, მ. ლ----------მ დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება და განაცხადა, რომ მავთულბადის ღობე მის მიერ განთავსდა 2007 წელს. ოქმის თანახმად, მანვე აღნიშნა, რომ ღობის დემონტაჟს არ აპირებს, რადგან დაზიანდება მის მიერ დარგული მცენარეები, ამასთანავე, აპირებს მიწის დაკანონებას და მიმდინარეობს დოკუმენტაციის მოწესრიგება. საქალაქო სასამართლოს 05.02.2016წ. გამართულ სხდომაზე მოსარჩელის წარმომაგენლის განმარტება (14:20 სთ), რომ მ. ლ---------- აღნიშნულ ოქმში უთითებდა თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღობეზე, არ დასტურდება, რადგან მითითებებაში, რომლის ჩაბარებაც მ. ლ----------მ 30.04.2015წ. ოქმში დაადასტურა, ერთმნიშვნელოვნად არის აღნიშნული, რომ მითითება შედგენილია N------- მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ღობეზე და არა უშუალოდ N------- ნაკვეთის შემომსაზღვრავ ღობეზე. ამასთანავე, 30.04.2015წ. ოქმში აღნიშნულია, რომ მ. ლ---------- აპირებს ნაკვეთის დაკანონებას, რაც დამატებით ადასტურებს მ. ლ----------ს განმარტების გაცემას თავის საკუთრებაში არარსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, რადგან ოქმის შედგენის დროისათვის მ. ლ----------ს საკუთრება 0------ მიწის ნაკვეთზე უკვე აღრიცხული იყო, შესაბამისად აღარ არსებობდა მისი დაკანონების საჭიროება. მითითებისა და შემოწმების აქტის განხილვასთან მიმართებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებისას ოქმი შედგა 30.04.2015წ., ხოლო საკუთრება 0------ ნაკვეთზე მ. ლ----------ს წარმოშობილი ჰქონდა 2008 წლიდან. ამასთანავე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 30.04.2015წ. ოქმი მისი შინაარსის გაცნობის დადასტურების მიზნით ხელმოწერილია მ. ლ---

---–---ს მიერ, ოქმზე არ არის რაიმე მინაწერი ან შენიშვნა ოქმის შინაარსთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დგინდება სადავო ღობის მ. ლ---------ს მიერ მოწყობა. ამასთანავე, აღნიშნული გარემოების დაუდგენლობის შემთხვევაშიც, არ გამოირიცხება სამშენებლო სამართალდარღვევაზე მ. ლ---------ს პასუხისმგებლობა, რადგან მისივე ახსნა-განმარტებით დადასტურდა სადავო ღობით შემოსაზღვრული ნაკვეთის ფლობა, სარგებლობა, მწვანე ნარგავების განთავსება, ღობის შენარჩუნების ინტერესი, მისი პერიოდული შეკეთება. ღობის მომწყობი სუბიექტის დადგენის შეუძლებლობა არ გამორიცხავს მ. ლ---------ს, როგორც ნაკვეთით მოსარგებლე პირის პასუხისმგებლობას. ნაკვეთით მოსარგებლეზე სამშენებლო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არის დადგენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი კონკრეტული პირი, არ ადასტურებს მოსარგებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას სხვისი ბრალისათვის, ასეთ შემთხვევაში მოსარგებლე პასუხს აგებს არა სხვისი, არამედ თავისი ბრალისათვის, რომელიც გამოვლინებას პოულობს მის უმოქმედობაში: მოსარგებლეს, მესაკუთრის მსგავსად, ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს სათანადო სამშენებლო ნორმების დაცვა. ამდენად, მოსარგებლის მიერ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა (მითითებაში მიცემულ 10-დღიან ვადაში მ. ლ---------მ უარი განაცხადა ღობის მოშლაზე) იწვევს მისთვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას. ნაკვეთითა და მისი შემომსაზღვრელი ღობით მ. ლ---------ს მიერ სარგებლობა არ არის სადავო. მოსარჩელის განმარტებით, იგი წლების განმავლობაში სარგებლობდა ნაკვეთით. საქმის მასალებიდან არ იკვეთება მესამე პირების მიერ პრეტენზიების განცხადება მ. ლ---------ს სარგებლობის მიმართ. ამდენად, საკუთრების არქონის მიუხედავად მ. ლ--------- ფლობს ნაკვეთს, როგორც საკუთარს, კერძოდ, განათავსა მწვანე ნარგავები, უვლის მათ, ახდენს ღობის შეკეთებას აღნიშნული ნარგავების, ე.ი. თავისი მფლობელობის დაცვის მიზნით, აპირებს მიწის ნაკვეთის დასაკუთრებას (როგორც თავად აღნიშნავს - „ლეგალიზებას“), რისი ერთ-ერთი წინაპირობაც ნაკვეთის ფლობა/სარგებლობის დადასტურებაა („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „გ“ ქვ.პ.), რა დროსაც ნაკვეთის შემოღობვის ფაქტი, როგორც წესი, ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს. ამასთანავე, საქმის მასალებით არ დასტურდება სხვა კერძო პირის არსებობა, რომელსაც რაიმე სახის მფლობელობა ან ინტერესი ექნებოდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე. მოსარჩელის მითითება, რომ

ნაკვეთი შემოსაზღვრული სახით იყიდა არ არის დასაბუთებული, რადგან ნაკვეთი კერძო საკუთრებაში აღრიცხული არასდროს ყოფილა, ამასთანავე, საქმეში არ არის წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულება ან სხვა რაიმე დოკუმენტი, რომელიც მოსარჩელის მიერ ნაკვეთის შეძენას დაადასტურებს, არ სახელდება აგრეთვე ნაკვეთის წინა მესაკუთრე ან პირი, რომელიც დაინტერესებული შეიძლება ყოფილიყო მ. ლ----------ს სარგებლობაში არსებული ნაკვეთის შემოღობვით. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით ადმინისტრაციული წარმოებისას ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის ახსნა-განმარტების მიხედვით, ღობის უნებართვოდ მოწყობის ფაქტის გამოვლენისას, ადგილზე იმყოფებოდნენ პირები, რომლებიც ახდენდნენ ღობის მოწყობას, მათი განმარტებით ღობის აღდგენით სამუშაოებს ახორციელებდნენ მ. ლ----------ს დაკვეთით. მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო აღნიშნული განმარტების საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარდგენა. საქალაქო სასამართლოში აღნიშნული პირების მოწმის სახით დაკითხვის მიზნით სასამართლო სხდომის არაერთგზის გადადების მიუხედავად, მოსარჩელემ მოწმეები სასამართლოს ვერ წარუდგინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა სათანადოდ გამოკვლევა შესაძლებელს გახდიდა სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტას. სააპელაციო პალატას, მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სრულად უნდა გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მოეხდინა სწორი სამართლებრივი შეფასება. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო პალატა არ უთითებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან რაიმე ისეთ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უნდა იქნეს დადგენილი საქმის ხელახალი განხილვისას და რომლის დადგენაც სასამართლო განხილვის ფარგლებში შეუძლებელია. ამასთანავე, დავის სამართლებრივი ასპექტი, სასამართლოს მოსაზრება სადავო სამართალურთიერთობის გადაჭრის სამართლებრივი საფუძვლის, გამოსაყენებელი ნორმის შესახებ არ ქმნის სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანის პირობას.

საკასაციო სასმართლო ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ სადავო აქტით ჯარიმის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სახდელის დადების პერიოდში მოქმედი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც მ. ლ---------- უნებართვო

მშენებლობისათვის დაჯარიმდა 10 000 ლარით. ნორმის ამჟამად მოქმედი რედაქციის მიხედვით, ქ. თბილისში, სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე უნებართვო მშენებლობისათვის ჯარიმის სახით გათვალისწინებულია 25000 ლარი (კოდექსის 44.1 მუხლის „ა“ ქვ.პ.). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სამართალდარღვევის ჩამდენმა პირმა პასუხი უნდა აგოს სამართალდარღვევის ჩადენის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, თუმცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტს აქვს უკუქცევითი ძალა, ე.ი. ვრცელდება ამ აქტის გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზე. სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს, თუმცა აღნიშნული მოწესრიგება გასათვალისწინებელია მხოლოდ პასუხისმგებლობის შემსუბუქებისას ან გაუქმებისას. უკეთუ ახალი მოწესრიგებით იზრდება სანქციის ოდენობა ან სხვა მხრივ მძიმდება პასუხისმგებლობა, გამოყენებულ უნდა იქნეს დარღვევის დროს მოქმედი რეგულაცია. აქტებს, რომლებიც აწესებენ ან აძლიერებენ პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, უკუქცევითი ძალა არა აქვთ (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხ.). ამდენად, მართალია, სასამართლოს მიერ სანქციის დაკისრების მართლზომიერების შემოწმების პროცესში პასუხისმგებლობის დამფუძნებელ ნორმაში განხორციელდა ცვლილება, თუმცა ახალი რეგულაციით პასუხისმგებლობის დამძიმების გათვალისწინებით, მართებულია დავის გადაწყვეტისას სანქციის დაკისრებისას მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების გამოყენება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. N57 დადგენილების 65.1 მუხლის თანახმად, გრუნტის ზედაპირიდან 4 მეტრამდე სიმაღლის ღობე წარმოადგენს პირველი კლასის ნაგებობას („გ“ ქვ.პ.) და არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა ამავე დადგენილებით განსაზღვრულია I კლასის ნაგებობის მშენებლობის განზრახვის შესახებ ნებართვის გამცემი ორგანოსათვის წერილობითი ინფორმაციის მიწოდების (66.2 მუხ.) და ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ

დაგეგმილი მშენებლობის ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობისა და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების საჭიროება (55.7 მუხ.). ნორმატიულად განსაზღვრული პროცედურების დარღვევით I კლასის მშენებლობის განხორციელება განიხილება უნებართვო მშენებლობად (66.10 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დასტურდება მავთულბადის ღობის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე მოწყობა, ე.ი. სახეზეა უნებართვო მშენებლობა, რომელიც პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე და 44-ე მუხლებით გათვალისწინებულ სანქციას ითვალისწინებს. ამდენად, სამშენებლო საქმიანობის მოცულობის, სახისა და ხასიათის, სამართალდარღვევის მნიშვნელობის მიუხედავად, კოდექსით გათვალისწინებულია ერთიანი, ზუსტად განსაზღვრული სანქციები. სანქციის არაპროპორციულობის შესახებ მოსაზრება ქმნის არა სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო აქტების ბათილად ცნობის, არამედ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს უნებართვო მშენებლობის მოცულობაზე, შეაფასოს პირველი კლასის ნაგებობის უნებართვო მშენებლობისთვის გამოყენებული სანქციის პროპორციულობა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შეფარდებული სანქციის არაპროპორციულობის შეთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიყენოს სადავო სამართალურთიერთობის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი, რომელიც მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოს დისკრეციულ კომპეტენციას გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. 33.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების შესაბამისობით. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს (სუს 01.07.09წ. გადაწყვეტილება, საქმე Nბს-1442-1400(კ-კს-08)). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის 22-ე მუხლი ზოგადია ყველა სამართალდარღვევისათვის, სამშენებლო

სამართალდარღვევებზე ცალკე კანონმდებლობა ვრცელდება, 22-ე მუხლით მოწესრიგებული ურთიერთობები არ არის სხვაგვარად დარეგულირებული სპეციალურ, კერძოდ, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, რომლის 25-ე მუხლის ბოლო პუნქტის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ უნდა იქონიოს მსჯელობა სადავო სამართალურთიერთობის მიმართ მისი გამოყენების შესაძლებლობის საკითხზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლის) საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2017წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: **ნ. სხირტლაძე**

მოსამართლეები: **ნ. ქადაგიძე**

ქ. ცინცაძე